*ქართველობის გადასარჩენად*

# ილორი



«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№443 (502) 16 – 29 იანვარი 2019 წ.

სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო

## საშობაო ეპისტოლე

2



ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, — ჩვენთვის «იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი», ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი

## ახალ წელს გილოცავთ, კოლხ-იბერნო!

4



## სასჯელი მიეგოთ პრეზიდენტის მკვლელობისათვის

9

ამ ხელისუფლებას აქვს ისტორიული შანსი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით, საქართველოს დიდი სირცხვილი ჩამორეცხოს და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვას. სამართალი მხოლოდ მაშინ იზეიმებს, როცა ეს არამზადები «ღირსეულ» ადგილს დაიკავებენ ე.წ. მატროსოვის ციხეში, სადაც მათთვის ყოველთვის ღიაა კარები, როგორც სამშობლოს მოღალატეების

## სწორი არჩევანი, უკანასკნელი შანსი საქართველოსი...

5



რუსეთის ეკლესიის გვერდით დავდგებით, გადავრჩებით ფიზიკურად, მენტალურადაც და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივაც გაჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეკლესიაში მეუფე ყანდურთა ფრთა გაიმარჯვებს და ერეტიკოსი ლიბერასტი ბართოლომეოსის ბანაკში აღმოვჩნდებით, რუსეთი აღარ გვაპატიებს მორიგ ისტორიულ უმადურობას და, აფხაზეთ-ცხინვალი კი არა, დანარჩენი საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება...



6-7

გური ოტობაია

## ილიონ

ეპიკური პოემა

## თანამედროვე მეხუთე კოლონა — ნაყიდი დემოკრატია

8

## მდ. ხობწყარის სახელწოდების მოკლე ისტორიული ანალიზი და მისი შენაკადები

10



# საშობაო ეპისტოლე

**ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:**

საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ „მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს," რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი" (ესაია 7,14) და რომ იქნება „სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა" (ესაია 9, 5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სულიერად თანაზიარნი გავხდეთ ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი „გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა," რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხონება მოენიჭებინა...

ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მომხდარს, გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც, მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც.

ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსმყოფელმა ... კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმრთობა.

ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუწერელობასა და გარეშეწერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად — ვნებულობაც, უხრწნადობასათან ერთად — ხრწნადობაც.

მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უხრწნელმა ხრწნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრწნილება განექარვებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინვებინა და ცოდვისადმი მონობა ცოდვაზე მეფობით შეეცვალა.

ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა!

მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისაც და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისავსე.

ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება:

წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსმყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსმყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მიწიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა.

სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი... რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა.

მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განღრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც, — თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა.

ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვაწლს აღასრულებს.

ქმნილებისადმი შემოქმედის ენითუთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: „ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი,- ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედვენ ქვეყანასა ზედა და კაცსა, — ცათა შინა; ქვესკნელსა, — ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, — ქვესკნელად კაცთმოყვარეობით" (ათანასე ალექსანდრიელი).

— პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?

— ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, — შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესაწირი, — ოქრო, გუნდრუკი და მური, — მიართვეს მას.

ოქრო – ვითარცა მეფეს,

გუნდრუკი — ვითარცა ღმერთს,

და მური — ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

წმინდა იოანე ოქროპირი ამ სამ ძღვენში ხედავს ადამიანისთვის უმთავრეს სიკეთეთაც: ჭეშმარიტ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, რომელთა აუცილებელი ერთობაც განაპირობებს ნებისმიერი პიროვნების უფლისკენ სწორად სვლას.

ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელ-ნელა ავმაღლდეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიმოსოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ



**საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს. ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს**

ვპოვოთ ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვეშოროთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას ჰეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლადშობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.

საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის გაწირვა, ნაცვალგების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, — ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, — სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც.

თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, — გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, — ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.

ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვასზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა.

სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა — სიკვდილის ტოლფასი.

ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: „ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს" (მათე 5,22).

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავისმთქმელთ: „...ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგი ...ის ბილწავს მთელს სხეულს ...დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს... ასე არ უნდა იყოს" (იაკობი 3, 6-10).

თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით, კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა. გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთელი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარხოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამ ქვეყანად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: „ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი,



# ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, — ჩვენთვის «იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი», ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი

სულისას... ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა, — სიცოცხლე და მშვიდობა“ (რომ. 8, 5-6).

„მეორე რჯულშიც“ ვკითხულობთ: „თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (II სჯ. 30,19).

მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობს.

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე.

მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე სასიხარულოა დაწყებით კლასებში „დედა ენის” დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია.

სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები...

უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.

ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზეთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ. გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძნობიარე სული მთელი სიმწვავით რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლადშექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისთვის.

მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი; ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და, ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს.

დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა.

ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ „ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ...“ ხოლო „თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ“ (რომ. 8, 28,31)!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, — ჩვენთვის „იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი,“ ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი.

ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, — აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოხლეს.

შორებელთა და ახლობელთ გვიხმობს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმობს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმობს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივ-ობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს.

არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის სავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია ვპოვოთ იესო, ვპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობაახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს.

**ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!**

**ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!**

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,**
**ილია II“**



# აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე პირების ნაწილს ენგურის ხიდზე გადაადგილების უფლებას აძლევენ

**დე ფაქტო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახური აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე პირების ნაწილს ენგურის ხიდზე გადაადგილების უფლებას აძლევს. როგორც სააგენტო „აპსადგილ ინფოს“ უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ მარღანიამ განუცხადა, კარანტინის პირობებში მათ გამონაკლისი შემთხვევებიც გაითვალისწინეს.**

„ყველამ ვიცით, რომ საქართველოში სამკურნალოდ დადიან ჩვენი მოქალაქეები. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც გადიან ქიმიოთერაპიის კურსებს. ჩვენს სამსახურს არ შეუძლია ასეთ მოქალაქეებს აუკრძალოს აფხაზეთიდან გასვლა და უკან დაბრუნება. მათ სასიკვდილოდ ვერ გავწირავთ. ამას გარდა, არიან ენგურჰესის ტექნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. ისინიც უნდა გავატაროთ. ჩვენ არ შეგვიძლია საზღვრის სრულად ჩაკეტვა. შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ იმიტომ, რომ შევამციროთ ღორის გრიპის გავრცელების რისკი აფხაზეთის ტერიტორიაზე“, — განაცხადა ზურაბ მარღანიამ.

ენგურის ხიდზე გადაადგილება შეიზღუდა. დე ფაქტო ხელისუფლებამ ადმინისტრაციულ საზღვარზე კარანტინი გამოაცხადა, რომელიც ორი თვე გაგრძელდება.



# რუხის მრავალპროფილური საავადმყოფო თებერვლის ბოლოსთვის დასრულდება

**რუხის მრავალპროფილურ საავადმყოფოში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები თებერვლის ბოლოსთვის დასრულდება. როდის გაიხსნება საუნივერსიტეტო კლინიკა, ჯანდაცვის სამინისტროში ჯერ არ იციან. უწყებაში „ლაივპრესს“ უთხრეს, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ საავადმყოფოს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვის პროცესი დაიწყება.**

„სამშენებლო პროცესი, შიდა რემონტი, გათბობა, განათება, იგეგმება, რომ ყველაფერი თებერვლის ბოლოსთვის დასრულდეს. ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია“, — განმარტეს სამინისტროში.

უწყებაში არ იციან, რატომ გადმოიწია სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადამ, როცა ეს 2019 წლის ბოლოსთვის იგეგმებოდა. რუხის საავადმყოფოს მშენებლობა დაზუსტებული პროექტით გრძელდება. მასში რამდენიმე სახის ცვლილების შეტანა გახდა საჭირო, რაც ერთხელ უკვე გახდა ობიექტის დასრულების გადავადების მიზეზიც.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ რუხის საავადმყოფო ჩქარა უნდა ამოქმედდეს, რადგან ეს რეგიონისთვის მნიშვნელოვანია, და ასევე საჭიროა ნდობის აღდგენის თვალსაზრისითაც.

ზურაბიშვილმა საავადმყოფო გუბერნატორ ალექსანდრე მოწერელიასთან ერთად 6 იანვარს დაათვალიერა.

რუხის მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობა 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო. საუნივერსიტეტო კლინიკა 220 საწოლზეა გათვლილი. ემერჯენსი, სამშობიარო ბლოკი, ონკოლოგიური დეპარტამენტი, სისხლის გადასხმა-ამბულატორია, დიალეზი, ეს ნაწილია იმ მომსახურების, რითაც ადგილობრივებთან ერთად, სარგებლობა აფხაზებსაც შეეძლებათ.

პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 41 მილიონ 264 ათასი ლარია გამოყოფილი.


ზურაბ კვარაცხელია

# ახალ წელს გილოცავთ, კოლხ-იბერნო!

**ძვირფასო თანამემამულენო! საყვარელო კოლხ-იბერნო! კიდევ ერთი წელიწადი მიითვალა ჟამთაგანმრიგემ... მიითვალა და თან დაგვიტოვა უამრავი ახდენილი თუ თუ აუხდენელი ოცნება... ოცნება პირადული, ოცნება საზოგადოებრივი... ცხადია მე როგორც წინა წლებში, ახლაც საზოგადოზე, საქვეყნო-საკაცობრიოზე უფრო გავამახვილებ ყურადღებას, რადგან მერწმუნეთ, რომ თუთაშხიასი არ იყოს, არავის პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს და არც არავის საქმეში არ ვერევი მე... ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით გაგვიმარჯოს იმდენად და იმ დოზით, რა დოზითაც ის წინააღმდეგობაში არ მოვა ეროვნულ-ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებთან, ასევე, ჩვენი მითაჟამინდელი მოდგმის წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთობლიობის მარადიულობა-უწყვეტობასთან!**



ვერ ვიტყვი, რომ განვლილი წელი დიდად უკეთესი ან უარესი იყო წინა წლებთან შედარებით, მაგრამ გულრწფელად გითხრათ არა და არ გამოიკვეთა ქვეყნისთვის სასიკეთო რამე პოზიტივის შემცველი ნიშნები.... ამიტომ, შესაძლოა ვინმეს ეს არც მოეწონოს, მაგრამ მე აქ ახლა ფაქტიურად სიტყვა-სიტყვით მიწევს წინა წლებში უკვე მრავალჯერ გაკეთებული შეფასების კვლავ და კვლავ ,,ჯანსულოსავით" გამეორება.

დიახ, უფსკრულის კიდესთან მყოფი საქართველოსათვის საფრთხეები და გამოწვევები ისევ რეალურად არსებობს... მეტიც, ეს საფრთხეები უფრო მატულობს... კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის წინაშეა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალი და თუ ამ სავალალო რეალობას ობიექტურად, მამულიშვილურად არ დავინახავთ და არ გავიცნობიერებთ, თუ ერში სასწრაფოდ არ ამოქმედდება მიძინებული თვითგადარჩენის რეფლექსი, მაშინ, ჩვენს საყვარელ ოდაბადეს გამთლიანება კი არა, უდიდესი ალბათობით სრული გავერანება და დეზინტეგრაცია უწერია... ხოლო, რაც შეეხება მრავალ ქარტეხილებს დღემდე ასე თუ ისე, ავად თუ კარგად გამოღწეულ კოლხიბერს, - როგორც ჩანს, უდიდესი ალბათობით ის შეუერთდება კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამქრალ ერებს თუ ეთნოსებს... ცხადია, ახლა ვიღაც მაინც გაიფიქრებს - მაშინ რაშია გამოსავალიო და რაღაც თვალსაზრისით მართალიც იქნება, მაგრამ გამოსავალი თვითგადარჩენის რეფლექსის გაღვიძება-ამოქმედებაში რომაა - ამაზე მე უკვე ზემოთ მივუთითე.

დიახ, უწინარესად მართლაც ამაშია გამოსავალი! ამის შემდეგ კი, რასაკვირველია საღად, გონივრულად უნდა გაანალიზდეს არსებული რეალიები და დაისახოს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლისათვის ოპტიმალური, პრაგმატული, სტრატეგიულად გამართლებული ორიენტირები! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს კორდონებს იქითა ინტერესების პრიორიტეტულობა სამშობლოს ინტერესებთან მიმართებაში! მხოლოდ ურთიერთ-ინტერესების დაბალანსება-გათვალისწინებით, ურთიერთ-შეთანხმებით, აუცილებელი კონსესუსით უნდა წარიმართოს საგარეო პოლიტიკა და აქედან გამომდინარე უნდა ხდებოდეს საჭიროების შესაბამისად მისი კორექტირებაც! აი, ამ მიმართულებით უნდა მოძრაობდეს, ვითარდებოდეს საზოგადოებრივი აზროვნება და აქედან გამომდინარე მისი დაკვეთის შემსრულებელი უნდა იყოს ამავე საზოგადოებრიობის მიერ არჩევნების დროს დაქირავებული ნებისმიერი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალაც!.. სამწუხარო ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით აქამდე არც არაფერი გვაქვს სატრაბახოც და თავმოსაწონიც! ფაქტია, რომ იმ ავადმოსაგონარი კრიმინალური პუტჩის შემდგომ ჩვენი სამშობლო ფაქტიურად არ შემდგარი, კოლონიური და უფსკრულის პირას მყოფი კვაზი-ქვეყანაა, მაგრამ ამაზე მე ფაქტიურად ზემოთ უკვე გავამახვილე ყურადღება და ახლა მეტს აღარ განვავრცობ.

ერთს დავამატებ კიდევ, რომ ყოველივე ზემოთქმულზე პასუხისმგებლობის უდიდესი წილი ერში ელიტარულობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანებმა უნდა აიღონ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მართლაც სრულიად გასაკუთრებულია სამოციქულო ეკლესიის მნიშვნელობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლის თვალსაზრისით!

ასეა თუ ისეა, მოვიდა ახალი წელიც და მოიტანა ახალი იმედებიც...

ასე რომ: ამ წელიწადში თითოეულ ჩვენთაგანს აგვხდენოდეს ჩვენ-ჩვენი კეთილი სურვილები! მომავალ წელიწადში სიკეთე და ბედნიერება დაებედოს ჩვენს სამშობლოს! ღმერთმა ჰქნას, რომ მომავალი წელი ყოფილიყოს გარდამტეხი წელი და საფუძველი ჩაყროდეს ქვეყნის გამთლიანებას!

**ახალ წელს გილოცავთ, კოლხ-იბერნო!**

**ახალ წანას მიგახვამანთ, კოლხ-იბერეფი!..**

**ზურაბ კვარაცხელია**



# ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ადგილას სახლ-მუზეუმი მოეწყობა

**სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია ძველ ხიბულაში იმ ადგილას, სადაც ზვიად გამსახურდია დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გასროლის შედეგად გარდაიცვალა, მემორიალური სახლ-მუზეუმის მოწყობის ინიციატივით გამოდის.**

ამის შესახებ მან პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლებთან შეხვედრისას განაცხადა. ინფორმაცია გუბერნიის პრესსამსახური ავრცელებს.

სახლს, სადაც გამსახურდიამ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2018 წლის აგვისტოში მიენიჭა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ გასული წლის ნოემბერში რადიო "ათინათს" უთხრა, რომ ძეგლი რეაბიტილირდება.

# თენგიზ ქობალიას გათავისუფლებას მისი მეგობრები ითხოვენ

**ზუგდიდის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის ყოფილ უფროსს მეგობრები თავდებში უდგებიან. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული თენგიზ ქობალიას გათავისუფლების მოთხოვნით ისინი სასამართლოს უახლოეს სხდომაზე მიმართავენ, რომელიც 4 თებერვალს არის ჩანიშნული. „სოლიდარობა თენგოს", — ამ სახელწოდების წერილი თენგიზ ქობალიას მეგობარმა ლევან ბეჭვაიამ გამოაქვეყნა, სადაც ის საზოგადოებას მხარდაჭერას სთხოვს.**



ლევან ბეჭვაიამ განაცხადა, რომ თენგიზ ქობალიას თავდებად უდგება 1000-ზე მეტი ადამიანი და ეს ციფრი ყოველდღიურად იზრდება. „ჩვენი თხოვნაა სასამართლოს მიმართ, რომ გაათავისუფლონ თენგო, რადგან ასეთ ადამიანებს ციხეში არაფერი ესაქმებათ. ჩვენს მოთხოვნას ადვოკატი დაამუშავებს და წარადგენს შუამდგომლობის სახით", — აცხადებს ლევან ბეჭვაია.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ წერილში ის წერს, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც თენგიზ ქობალია ახლა იმყოფება, შეიძლება ნებისმიერი მისი კოლეგა აღმოჩნდეს.

„სოლიდარობის გამოხატვით დაიცავით საკუთარი უფლებებიც! ღირსეულ პიროვნებას შეუფერებელი ფორმით დაკავების დროსაც კი, რამაც გული ატკინა და გააოგნა მთელი ქალაქი, ღირსეულად ეჭირა თავი! დარწმუნებულები ვართ, რომ ეს მდგომარეობა და გაუგებრობა გაირკვევა ძალიან მალე. იმედი გვაქვს, გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურების და დამოუკიდებელი სასამართლოსი! ხალხის სიყვარული გადაწონის ყველანაირ უსამართლობას!", - ნათქვამია თენგიზ ქობალიას მხარდამჭერ წერილში.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ 24 დეკემბერს მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალია დანაშაულის შეუტყობინებლობის, ხოლო მოქალაქე ხუტა ბაღათურია ცრუ ჩვენებისთვის დააკავა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 7 წლამდე ვადით. რამდენიმე თვის წინ ზუგდიდის ყოფილი მერი და ვიცე მერი, ლაშა გოგია და გია გულორდავა დააკავეს. სწორედ აღნიშნულ საქმეს უკავშირდება თენგიზ ქობალიას დაკავებაც. ყოფილ მერს და მის მოადგილეს ბრალად დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედებათ. ისინი ბრალს არ აღიარებენ, ისევე როგორც თენგიზ ქობალია.

# სწორი არჩევანი, უკანასკნელი შანსი საქართველოსი...



**დავით მხეიძის საავტორო გვერდი**

**ის, რომ ე.წ. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი უკრაინის რასკოლნიკური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებდა, ამის შესახებ გასულ წელს არა ერთხელ გვისაუბრია და აჰა, ახალი წლის დამდეგს დანაპირები რეალობად იქცა — ბართლომეოსის ხელდასხმით უკრაინელ რასკოლნიკებს ავტოკეფალია ოფიციალურად მიენიჭა?!**

ამ ყველაფერს რომ ღმერთთან არავითარი კავშირი არ აქვს და პოლიტიკური აქტია, ეს მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებში მეტ-ნაკლებად გარკვეულთათვის საიდუმლო არ არის — ბრათოლომეოსის ამ ქმედებას მიტროპოლიტმა ილარიონმა (რუსეთის ეკლესიაში რიგით მეორე იერარქი) უკვე უწოდა ბინძური, ვერაგული პოლიტიკური პროექტი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართლმადიდებლობისთვის ომის გამოცხადებაში დაადანაშაულა.

და აქედან გამომდინარე, მოსკოვის საპატრიარქომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობები გაწყვიტა, რაც პრაქტიკულად ე.წ. დიდი სქიზმის ათასი წლის შემდეგ განმეორებაა...

დიდი სქიზმა, ანუ განხეთქილება მართლმადიდებელ ეკლესიაში 1054 წელს მოხდა რომლის შემდეგაც ქრისტიანობა მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად დაიყო.

კათოლიკეებად, რომლებსაც პაპისტებსაც უწოდებენ, და რა მოუტანა მსოფლიოს კათოლიკობამ, ცნობილია: ცოდვათა შენდობისთვის ინდულგენციებით ვაჭრობა; ინკვიზიციის კოცონები, რომლებზეც ერეტიკოსობის ბრალდებით საუკუნეების განმავლობაში ევროპის პროგრესული აზრი იწვოდა (მხოლოდ ჯორდანო ბრუნო და ჟანა დ'არკი კმარა თქმულის დასტურად). კათოლიციზმმა, თავის მხრივ, შვა ათასი ჯურის პროტესტანტული ეკლესია, რომლებიც დღეს მსოფლიოს ლიბერასტიზაციის პროცესში, ნეოლიბერალების იდეური დასაყრდენია — ბევრ ასეთ „ქრისტიანულ ეკლესიაში“ უკვე ერთი და იმავე სქესის წყვილების ჯვრისწერის საიდუმლოს აღასრულებენ და მეტიც — თვით ამ საიდუმლოს აღმსრულებელი “პადრები” ხშირ შემთხვევაში თვითონაც ჰომოსექსუალები არიან.

ბართოლომეოსმა კიევის საპატრიაქოს ავტოკეფალია ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მიანიჭა, რაც ყოვლად მიუღებელია მართლმადიდებელ მოძღვრებაში, რომლის მიხედვითაც მსგავსი საკითხების მოგვარება კონსენსუსის, ანუ მსოფლიოს 15-ვე მართლმადიდებელ კანონიკურ ეკლესიასთან შეთანხმებით ხდება და არა ისე, რომის პაპები რომ წყვეტდნენ ერთპიროვნულად, როგორც ქრისტეს მოადგილეები დედამიწაზე.

ეტყობა, “მსოფლიო პატრიარქს” პაპიზმის ბაცილა შეეყარა და მას მართლმადიდებელი სამყაროს ერთპიროვნულად მართვა სურს, მაგრამ დაავიწყდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქობა ქრისტეს მოადგილეობას არ ნიშნავს და არ ნიშნავდა მაშინაც კი, როდესაც დღევანდელივით ფორმალურად კი არა,

რეალურად ითვლებოდა წმინდა კონსტანტინეს ქალაქი და დიდებული აია–სოფია მსოფლიო მართლმადიდებლობის სიმბოლოდ და ბურჯად. მსოფლიო პატრიარქობა მხოლოდ თანასწორთა შორის პირველობას ნიშნავდა, რაც საფუძველშივე გამორიცხავდა ჭეშმარიტი სარწმუნოების ეკლესიის ავტორიტარულ მმართველობას. ერთადერთი „უპირატესობა“, რომლითაც მსოფლიო პატრიარქები სარგებლობდნენ, იყო ის, რომ წირვა-ლოცვისას პირველად მათ მოიხსენიებდნენ სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები...

სამწუხაროდ, წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც მეორე რომად წოდებულ ქალაქს კონსტანტინოპოლი ერქვა და არა სტამბოლი, როდესაც აია-სოფიას წმინდა ლავრიდან ღვთაებრივი გალობის ჰანგები იღვრებოდა და არა მუეძინების სისხლის გამყინავი კივილი.

თუნდაც ეს სამწუხარო რეალობა კმარა, რომ სტამბოლში ბინადარ თურქეთის მოქალაქე ბართოლომეოსის კონსტანტინოპოლის პატრიარქობაზე მწარედ გაგვეღიმოს — ე.წ. მსოფლიო პატრიარქს სტამბოლში არსებული უსახური რეზიდენციიდან მღვდელმთავრის სამოსელით გამოსვლაც კი აკრძალული აქვს თურქეთის ხელისუფლების მიერ და ბართოლომეოსი ჯინსებით დაბორიალობს ქუჩაში. თუმცა ეგეც იქეთ იყოს — მსოფლიოს მართლმადიდებელი მრევლი სულ 300 მილიონია და ნახევარი, 150 მილიონი, მოსკოვის საპატრიარქოს მრევლია. აქედან გამომდინარე, ვის უფრო ეკუთვნის მსოფლიო პატრიარქობა: რუსეთის უდიდესსა და უმდიდრესი ეკლესიის პატრიარქ კირილეს თუ ბართოლომეოსს, რომლის მრევლი, სულ რაღაც, სამ მილიონს შეადგენს?

სიტყვამ მოიტანა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეგ “სულ რაღაც” არ ეყოლებოდა, რომ არა რუსეთის რევოლუცია — ტროცკისტი სიონისტები რუსეთში ანგრევდნენ ეკლესიებს და ამერიკაში უპატრონოდ დარჩენილი რუსული ეკლესისთვის (რომელიც რევოლუციამდე მოსკოვის საპატრიარქოში შედიოდა) გამოიდებდნენ თავს? ჰოდა, ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო და აშშ–ის სპეცსამსახურების მეცადინეობით ამერიკაში რუსულ ეკლესიასაც დაეპატრონა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელსაც აშშ ჯერ სსრკ–ს წინააღმდეგ იყენებდა და ახლა კი — რუსეთის წინააღმდეგ იყენებს.ბართლომეოსის მიერ უკრაინის რასკოლნიკებისთვის ავტოკეფალიის მიცემა შეიძლება რუსეთისთვის დაწესებულ მორიგ სანქციად განვიხილოთ; პოლიტიკურ სანქციად, რომლის მიზანიც, ადრინდელი ეკონომიკური სანქციებისგან განსხვავებით, რუსეთის ეკონომიკის ნგრევა კი არა (რაც არ გამოუვიდათ — წითელ მოედანზე მილიონობით მომიტინგე არ გამოვიდა იაფი ძეხვის მოთხოვნით), გაცილებით უარესი უკრაინელი და რუსი ხალხების რელიგიური ნიშნით დაპირისპირებაა. გასული წლის აპრილში პეტრე პოროშენკო სტამბოლში სტუმრობდა ბართოლომეოსს. როგორც რუსული ტელევიზიები იუწყებიან, ტომოსის (განკარგულების, გადაწყვეტილების) სანაცვლოდ, უკრაინელ ბიზნესმენთა მიერ შეგროვებული 25 მილიონიდან მხოლოდ 10 მილიონი დოლარი ჩაუტანა ბართოლომეოსს, ანუ პოროშენკომ ე.წ. ობშიაკიდან 15 ლიმონი მოუტეხა „მსოფლიო პატრიარქს“, რომელმაც მოგვიანებით შეიტყო პოროშენკოს „კრისობა“ და უკრაინის ლოთი პრეზიდენტი იძულებული შეიქნა, ბართლომეოსისთვის დანაკლისი აენაზღაურებინა. გამოდის, რომ პოროშენკომ ავტოკეფალია იყიდა.

ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის“ ავტოკეფალიის მინიჭება აპრილშივე ყოფილა გადაწყვეტილი. მიუხედავად ამისა, ა.წ. 31 აგვისტოს სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე სტამბოლში ეწვია „მსოფლიო პატრიარქს“. მასთან პირისპირ საუბრის შემდეგ კირილემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს იყო საუბარი ძმებს შორის. თუ როგორ ძმობას უმზადებდა ფარისეველი ბართოლომეოსი რუსეთის პატრიარქს, ეს “ძმური საუბრიდან” რამდენიმე დღეში გახდა ცნობილი უკრაინისთვის ავტოკეფალიის მიცემის დაპირების სახით. სად არის ამ პოლიტიკურ-რელიგიურ პასიანსში საქართველოს ადგილი, რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ?

უკრაინის მსგავსი სიტუაციაა აფხაზეთშიც.

ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ წინამძღვრის, ბესარიონ აპლიას, მომხრეებს შორის მოხდა განხეთქილება, რომლის შემდეგაც პატრიარქ კირილესგან რუსეთის ეკლესიას ჩამოშორებული დოროთე დბარის ჯგუფმა ე.წ. „აფხაზეთის მიტროპოლია“ დააარსა (კათედრით ახალ ათონში) და ავტოკეფალიის აღიარების თხოვნით კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსს მიმართა. ბართოლომეოსი თვითმარქვია მიტროპოლიტს სტამბულში შეხვდა. გავრცელდა ხმა, რომ მსოფლიო პატრიარქი ე.წ. „აფხაზეთის მიტროპოლიის“ დამოუკიდებლობას უჭერს მხარს.

„ბართოლომეოსი აფხაზეთის ეკლესიას ქართული ეკლესიის კანონიკურ ნაწილად უწინდებურად აღიარებს სიტყვიერად. არ არის გამორიცხული, ორმაგ თამაშს თამაშობდეს და თავადვე აქეზებდეს აფხაზ „რასკოლნიკებს“, — განაცხადა აფხაზეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა ანრი ჯერგენიამ გამოცემა „არგუმენტი ი ფაქტისთან“ საუბრისას. ამ ფონზე დბარის ჯგუფი ე.წ. „აფხაზური მიტროპოლიის“ აღიარებას ითხოვს კონსტანტინოპოლისგან, ბესარიონ აპლია კი ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის“ ტიტულის დასტურს მოსკოვიდან ელის. მიუხედავად გაყინული ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და მცოცავი ოკუპაციისა, რუსული ეკლესია არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას.

სანამ ეს ასეა, აპლია-დბარის ოცნებებს ასრულება არ უწერია. მეტიც — ზემოხსენებულ უმწვავეს პრობლემათა გადასაჭრელად ერთობლივი რუსულ-ქართული სამუშაო ჯგუფის შექმნის მზადყოფნის შესახებ მიტროპოლიტმა ილარიონმა (ალფეევი) განაცხადა გასულ წელს თბილისში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან აუდიენციის დროს. ამ სიკეთეს დანახვა უნდა და არა რუსეთისთვის „ოკუპანტო-ოკუპანტოს“ ძახილი.

„მსოფლიო პატრიარქის” მიერ საქართველოს საპატრიარქოს აფხაზეთის ეკლესიაში ხელის ფათური მას შემდეგ დაიწყო, როცა წმინდა სინოდის განჩინებით კუნძულ კრეტაზე გამართულ ე.წ. მსოფლიო საეკლესიო კრებაზე საქართველოს დელეგაცია არ წავიდა, ისევე, როგორც არ წავიდნენ ბულგარეთის, ანტიოქიის, რუსეთისა და სერბეთის ეკლესიები.

დიახ, ამჯერადაც „ე.წ.“ გამოვიყენე, რადგან “მსოფლიო პატრიარქის” მიერ მოწვეული საეკლესიო კრება საბოლოოდ მსოფლიო ეკუმენისტთა მწვალებლური თავყრილობა აღმოჩნდა და, აქედან გამომდინარე, ბართოლომეოსის მიერ გაცხადებული მიზანი ეკლესების რეფორმირებისა, სინამდვილეში, გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, მართლმადიდებლური ეკლესიების ლიბერალიზაცია იყო “თანამედროვე მოთხოვნების” გათვალისწინებით. მაგალითად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რაზეც ღიად საუბრობს მისი უწმინდურობა “მსოფლიო პატრიარქი”.

**თუმცა, ლიბერალურ-კაპიტალისტური საზოგადოებრივ სისტემებში, მოქმედებს შემდეგი დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვით, დამფინანსებელი განსაზღვრავს დაფინანსებულის მოქმედებას და მის ქმედებებში თავისუფლების ხარისხს. მოქმედებს პრინციპი: „ვინც იხდის, ის უკვეთავს“. თან უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დაფინანსების წყაროების მოძიება, სხვადასხვა გრანტის სახით, ხდება ერთი და იგივე სქემით ყველა ქვეყნისთვის. კერძოდ, „მეხუთე კოლონის“ დაფინანსების წყაროდ მიიჩნევა სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით ახდენს აშშ-ს ინტერესების სფეროში მოხვედრილი სახელმწიფოებში მოქმედი არასამათავროზოების დაფინანსებას.** პირველ რიგში, დეპარტამენტიდან თანხის გადარიხცვა ხდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ანგარიშზე, ხოლო ამის შემდეგ USAID, აფინანსებს დემოკრატიის ნაციონალურ ფონდს (NED), ხოლო ამ უკანასკნელიდან კი, ფინანსური უზრუნველყოფა ხდება, ისეთი ორგანიზაციების, როგორიც არიან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და დემოკრატიის ნაციონალური ინსტიტუტი და NDI და NDI-ის აქტიურობის ხარისხი პატარა ქვეყნებში დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ვაშინგტონში ხელისუფლების სათავეში. მაგალითად, თუ რესპუბლიკელები არიან ხელისუფლებაში, აქტიურობით გამოირჩევა IRI-ი, ხოლო დემოკრატების ხელისუფლებაში ყოფნის დროს კი NDI-ი. აგრეთვე USAID-ი და NED-ი თავისუფლებიც არიან, ყოველგვარი შუამავლების გარეშე დააფინანსონ არასამთავრობო ორგანიზაციები.

თუ რაში სჭირდებათ ამერიკელებს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინასება და ზოგადად, სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა განვითარებად ქვეყნებში, კარგად აქვს ახსნილი და გადმოცემული, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ ერიკ დრაიცერს: „ მათ დაფინასებაში ახალი არაფერია, იმიტომ რომ, აშშ- სამაქალაქო საზოგადოებას და NGO-ს იყენებს მთელს მსოფლიოში, როგორც ზეწოლის ინსტრუმენტს საკუთარი მიზნების მიღწევისათვის, რათა მათი მეშვეობით განახორციელოს ხელისუფლების ცვლილება ან აიძულოს არსებული ხელისუფლება შეასრულოს მათი დავალება.“

ჩემი სტატია სპეცილაურად არ გადავტვირთე ფაქტობრივი მასალებით, რადგან მოაზროვნე მკითხველისთვის მიმეცა შესაძლებლობა, ამერიკელი თეორეტიკოსების მიერ გადმოცემული სტრატეგიების მეშვეობით, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე, დამოუკიდებლად გამოეტანათ დასკვნები.

**ირაკლი უბილავა**

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილებმა — კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა — პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს, ისინი საქართველოს პროკურატურის ფოიეში შიმშილობდნენ. მათი მოთხოვნა იყო, რომ გამოძიება არ შეწყდეს, პირველი პრეზიდენტის მკვლელები კანონის სრული დაცვით დაისაჯონ და ეს საქმე ისევ თაროზე არ შემოდონ.**



# სასჯელი მიეგოთ პრეზიდენტის მკვლელობისათვის

21 დეკემბერს მოშიმშილე ძმებს სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქალმა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა. მან პარლამენტს მიმართა და უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება გაგრძელდეს და საქმის გამოძიება ხანდაზმულობის მიზეზით არ შეწყვიტონ. მან აგრეთვე ბრძანა: „როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, არ შეიძლება არ გავიზიარო გამსახურდიას ოჯახის წუხილი და მოთხოვნა. ვიცი, რომ ამისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიების გატარება, ეს კი პრეზიდენტის კომპენტენცია არ არის. მივმართავ საკანონმდებლო ორგანოს, შესაძლებლობების ფარგლებში გათვალისწინებული იქნას ჩემი და ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრების თხოვნა“. ამავე დროს ქალბატონმა სალომემ ხაზგასმით აღნიშნა — მე საქართველოში ვერასოდეს დავბრუნდებოდი, ზვიად გამსახურდიას თავისუფლება რომ არ გამოეცხადებინა.

ქართველი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას 1993 წლის დეკემბრის სუსხიან დღეებში, სამეგრელოს ტყეებში ნადირივით დასდევდნენ მოსაკლავად ეგრეთწოდებული შევარდნაძის დაგეშილი მეძებრები.

1993 წლის 31 დეკემბერი გამსახურდიას სიკვდილის თარიღად სახელდება, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ის უფრო ადრე მოკლეს. ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გახსნა, ბევრ ვაი პოლიტიკოსს არ აძლევს ხელს, სურთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობა გამოუძიებელი დარჩეს და მკვლელები არ გასამართლდნენ. ეს ადამიანები პრეზიდენტის მკვლელობასთან არიან დაკავშირებულნი.

ისმის კითხვა — ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია? მკვლელობაში უცხოელი სპეცსამსახურების როლი გამოკვეთილია. ისინი საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. მკვლელობაში მონაწილეობდა აგრეთვე ქართული სპეცრაზმი „ალფაც“, ისინის მასზე ნადირობდნენ.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება მიზანმიმართულად იწელებოდა დროში და მიიყვანეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე, რათა შემდგომ ხანდაზმულობის მიზეზით საქმე შეწყვეტილიყო და დამნაშავენი არ დასჯილიყვნენ.

25 დეკემბერს ძველ აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში გაიმართა მოშიმშილე ძმების გამსახურდიების მხარდამჭერი აქცია. აქციაზე შეიკრიბნენ პრეზიდენტის თანამებრძოლები მოთხოვნით მხარს ვუჭერთ და სოლიდარობას ვუცხადებთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილების მოთხოვნას, დასჯილი იქნენ პრეზიდენტის მკვლელები. აქციაში მონაწილეობდნენ აბაშელი თანამებრძოლები: ვახტანგ კეკელია, მერაბ მიმინოშვილი, ზაალ კუცია, ნუგზარ ქობალია, ნუგზარ მიმინოშვილი, პაატა გვაზავა, ზურაბ გუგუშვილი, ვალერი ალანია და პრეზიდენტის სენაკელი თანამებრძოლები, პრეზიდენტის ყოფილი დაცვის უფროსი — ანდრო კანკავა, მერაბ ყურაშვილი, ზურიკო გვაზავა, ბიჭიკო თუნთია, რობერტ შალამბერიძე, გუჯა ხურცია, მალხაზ კალანდია და სხვები.



**ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. 2019 წლის 31 მარტს, პრეზიდენტის 80 წლის იუბილე გაიმართება და სამართლიანობა ითხოვს, პრეზიდენტის მკვლელობა გახსნილი იყოს**

პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსიის დღემდე არ სჯერა საზოგადოებას და არ სჯერათ მის შვილებს, რომლებმაც დამოუკიდებელი გამოძიება თავადაც ჩაატარეს და დაადგინეს, რომ მათი მამა მოკლულია. ისინი 48 პირის დაკითხვას და მკვლელობის გამოსაძიებლად განსაკუთრებული პროკურორის დანიშვნას ითხოვენ. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

2019 წლის 31 მარტს, პრეზიდენტის 80 წლის იუბილე გაიმართება და სამართლიანობა ითხოვს, პრეზიდენტის მკვლელობა გახსნილი იყოს.

ამ ხელისუფლებას აქვს ისტორიული შანსი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით, საქართველოს დიდი სირცხვილი ჩამორეცხოს და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვას. სამართალი მხოლოდ მაშინ იზეიმებს, როცა ეს არამზადები „ღირსეულ“ ადგილს დაიკავებენ ე.წ. მატროსოვის ციხეში, სადაც მათთვის ყოველთვის ღიაა კარები, როგორც სამშობლოს მოღალატეებისთვის.

**ბიჭიკო თუნთია**

# «ლეილა სამეგრელოს ვარსკვლავი» — წიგნი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და ინდოელების ფილმი




**ისტორიკოსი გიორგი კალანდია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ფოტოს აქვეყნებს, რომელიც მან ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გადაიღო. ფოტოზე წიგნია აღბეჭდილი სახელწოდებით „ლეილა - სამეგრელოს ვარსკვლავი“. ხელოვნების სასახლის დირექტორი წერს, რომ წიგნი 1860 წელს არის გამოცემული, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ კი ნაწარმოების მიხედვით ფილმიც გადაიღეს.**

„როგორც მოსალოდნელი იყო ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში სასწაული მასალა ინახება ჩვენი ქვეყნის შესახებ, აჰა, ბატონო, ერთი მაგალითი: ამერიკული გემის კაპიტნის სმიტის საჩუქარი ბიბლიოთეკას, წიგნი სახელად „ლეილა სამეგრელოს ვარსკვლავი“. არც მეტი არც ნაკლები, გამოცემული ნიუ იორკში 1860 წელს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა რუსთაველის სამეცნიერო ფონდს რომ ეს უნიკალური შანსი მომცა. მოკლედ, სულ კაი ამბებია! გუშინ ჩემთვის უცნობი ნაწარმოები „ლეილა სამეგრელოს ვარსკვლავი“ ვიპოვე ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში, დღეს ჩემმა მეგობარმა მურატ ცინცაძემ კი გაარკვია, რომ ამ ნაწარმოების მიხედვით 1931 წელს ინდოელებს ფილმი გადაუღიათ, აჰა დასტურად აფიშაც! აი რა შორს წავიდა თურმე ჩვენი მეგრელი ლეილა, ჩვენ კი ქართველებმა რამდენი რამ არ ვიცით, რამდენი რამ თავიდან გვაქვს აღმოსაჩენი“, — წერს კალანდია.


LEILA;
OR,
THE STAR OF MINGRELIA.
CHAPTER I.
THE YOUTHFUL TRAVELER.
We are about to describe one of the most beautiful districts in the world.
There also, peeping from amidst their broad leaves, are delicious water-melons, the spontaneous products of nature, and growing in such countless thousands that even the poorest peasants of the country value them not; and there are likewise




# ხობელი ნუგზარ წურწუმია ჩემპიონი გახდა



**ხობელი სპორტსმენი ნუგზარ წურწუმია საქართველოს 2019 წლის ჩემპიონი გახდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მოჭიდავემ ფინალურ ბრძოლაში ზურაბ მაჭარაშვილი დაამარცხა.**

21 წლის ნუგზარ წურწუმია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონია.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტსმენი „წლის აღმოჩენად“ დაასახელა და ჯილდოდ „ოლიმპიური იმედი“ გადასცა.

# მდ. ხობნწყარის სახელწოდების მოკლე ისტორიული ანალიზი და მისი შენაკადები

**„ხობისწყალი – ხობი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარე, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონების მთავარი საწყალოსნო არტერია. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, 2326 მ. სიმაღლეზე და ერთვის შავ ზღვას სოფ. ყულევში. სიგრძე 150 კმ. აუზის ფართობი 1340 კვ. კმ. (წყლის საშუალო ხარჯი - 44 კუბ.მ/წმ (შესართავიდან 30 კმ-ზე), მაქსიმალური — 333 კუბ.მ/წმ.). მთის ვიწრობიდან გამოდის სოფ. მუხურში, აუვლის დ. ჩხოროწყუსა და ჩხოროწყუს რაიონის რამდენიმე სოფელს, ხოლო კირცხისა და ლესიჭინეს შემდეგ შედის ხობის რაიონში. ჩხოროწყუს რაიონში ხობისწყლის მნიშვნელოვანი შენაკადია ოჩხომური, ხოლო ხობის რაიონში-ზანაძგა და ჭანისწყალი. მდინარეს სახელი მიუღია ადგილის სახელ ხობისაგან. ადგ. ვარიანტი ხობნწყარი, ხოპნწყარი. ვახუშტი უწოდებს ხორგისწყალს(პროფ. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებები IV. ჩხოროწყუს რაიონი, თბ. 2008წ.).“**



ამონარიდი ქართლის ცხოვრებიდან, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი ხობნწყარს/ხობისწყალს უწოდებს ხორგისწყალს: „ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“ (ქც 4: 777,24, 778,1-3).“

XVII ს-ის შუა ხანებში, სამეგრელოში იმყოფებოდა დონ არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ გამოსცა წიგნი, რომელიც იმ საუკუნის სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებას წარმოადფგენს. დონ არქანჯელო ლამბერტის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“ მდინარე ხობნწყარი/ხობისწყალი მოხსენიებულია, როგორ — მდ. „ხოფი“. ერთ-ერთი ვერსიით „ხოფი“ იმიტომ ერქვა, რომ, როდესაც „ხობნწყარიშ დუს“ ხეებს მოჭრიდნენ, მორებს ამ მდინარეს ჩამოატანდნენ და აქ, ბარში კი მორებს იჭერდნენ (მუკოხოფუაშ მეთოდით), ამ პროცესს ს „მ?კოხოფუა“ ეწოდება, და სწორედ ეს იყო ალბათ პირველმიზეზი იმისა, რომ ამ მდინარისათვის დაერქმიათ „ხოფი“. მეტად საინტერესოა ასევე გ. ელიავას, გ. ფარულავასა და გრ. შენგელიას ნაშრომი „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი (თბ. 1983 წ. გვ. 35)“ (ვციტირებ) „107. ხობნწყარი (ხობნწყალი) მდინარე. „არის გადმოცემა, რომ უხსოვარ დროში, სამხრეთ საქართველოდან, ლაზეთიდან, ხოფიდან გადმოსახლდნენ ხოფელები და დასახლდნენ ამ მდინარის პირას. ამიტომ დაერქვა მდინარეს ხობისწყალი. გ. ხუხუნი“ (ხოფწყარი/ხოპწყარი/ხობნწყარი. ხაზგასმა ჩემია ი. ქებურია).

დღეს კი ხოფი (ყოფილი ათვარუხუ) სოფელია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მეტად საინტერესოა ასევე ის, რომ „ ხოფი“ ძველ ქართული სიტყვაა (რომელიც დღესაც იხმარება) და ნიშნავს „ ნავის ნიჩაბი. საბას განმარტება ამართლებს იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც ხის მორების ჩამოტანა ხდებოდა მდინარის მეშვეობით, მაგრამ იმ ვერსიაში „მუკოხოფაშ“ მეთოდზეა საუბარი, და თითქმის არაფერი საერთო არა აქვს „ხის ნიჩაბთან“, მაგრამ ამ ვერსიაში სიმართლის მარცვლებიც არის, ყველა ვერსია გადაჯაჭვულია ერთიმეორეზე.

ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიაში, გვაქვს შესაძლებლობა ამოვიკითხოთ შემდეგი: „ ტოპონიმი ხობი მე-20 საუკუნის წარმონაქმნია. მე-19 საუკუნეში კი შესაბმისად ცნობილ მონასტერს, მდინარესა და დასახლებას „ხოპი“ ერქვა, ხოლო შუა საუკუნეებში „ხოფი“ ეწოდებოდა.“

ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ ხოპის სინონიმია ნიჩაბი.

ე. ი. თუ ლექსიკონებსა და წყაროებს დავეყრდნობით ბგერათა გაკეთილხმოვანებით მივიღეთ შემდეგი: ხოფი-ხოპი-ხობი.

მაგრამ, უშუალოდ „ხოფი“ არ ერქვა მხოლო და მხოლოდ დღევანდელ ხობს, არამედ ის იყო სახელწოდება ამ მდინარის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებისა.

თემისადმი გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე საჭიროა: მდინარის სახელწოდების ისტორიულ-ენათმეცნიერული ანალიზი და გამოკვლევა.

მდ. ხობნწყარი საზრდოობს მთებში თოვლით ნადნობი წყლით, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.

მდინარე ხოფწყარის/ხოპწყარის/ხობნწყარის ძირითადი შენაკადებია: მდ. გვალაშარა/გვალაში შარა (სიგრძე 15 კმ), მდ. ნოხუერი (სიგრძე 10 კმ), მდ. ჭითა წყარი (სათავეს იღებს ჭითა გვალადან), მდ. ღუნჯი (ხობნწყარის ერთ-ერთი დიდი შენაკადია (სიგრძე დაახლოებით 20 კმ) დიდღალი, შედარებით პატარა შენაკადია ხარჩახეშ ღალი, ასევე მდ. ხობნწყარის მარჯვენა შენაკადებია, მაფელი და წკიპღალი, რომელთა სიგრძეც 8 კმ-ს არ აღემატება, ზანაძგა და სხვა მრავალი უსახელო ღელეები, პატარა მდინარე და რუ.

მდ. ხობნწყარის დიდი შენაკადია ოჩხომური და წენწყარი (ჭანისწყალი).

ტერმინი „ტოპონიმი“ ნიშნავს-რამე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებას, ხოლო ტერმინი „ჰიდროტოპონიმი“ კი ნიშნავს-მდინარეების, ზღვების, აუზების, ტბებისა და სხვ. ტოპონიმს (ჰიდრო = წყალი).

საზოგადოდ, ტოპონიმთა და ჰიდროტოპონიმთა გადათარგმნა არ შიძლება.

ყველაზე ხშირად დაშვებული ჰიდროტოპონიმური შეცდომაა (რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ჩვენს რეგიონს-სამეგრელოს) მდ. ხობისწყალი, გაჭედილი და ა. შ.

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს საზოგადოებამ, დაუშვა უდიდესი შეცდომა! ვთარგმნეთ ჰიდროტოპონიმ(ებ)ი ხობნწყარი. ენათმეცნიერებასაც გააჩნია თავისი კანონები. ერთ-ერთი ამ კანონის გათვალისწინებით, ყველაზე სამარცხვინო, მაგრამ ხშირად დაშვებული შეცდომაა ტოპონიმთა და ჰიდროტოპონიმთა თარგმნა.

**იაგო ქებურია**



## დავით სერგეენკო ქვეყანაში შემოტანილი «ტამიფლუს» ახალი მარაგის განაწილების პროცესს დაესწრება

**ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ანტივირუსული პრეპარატის „ტამიფლუს“ ახალი მარაგის სააფთიაქო ქსელებისთვის განაწილების პროცესს დაესწრება.**

„ტამიფლუს“ გადაცემა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოხდება.

„ქვეყანაში შემოტანილი „ტამიფლუს“ ახალი მარაგის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და სააფთიაქო ქსელებისთვის განაწილების პროცესს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო პირადად დაესწრება“, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ პრემიერის გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა მოქალაქე, ექიმის დანიშნულებით, დღეიდან „ტამიფლუს“ უფასოდ მიიღებს.






## ზუგდიდში თოვლის ბაბუის ქურდობაში ბრალდებული გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

**ზუგდიდში, სწრაფი კვების რესტორნების ქსელ „მაკდონალდსიდან” თოვლის ბაბუის მოპარვისთვის დაკავებულს სასამართლომ 2 000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა და სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა. მოსამართლე შოთა ბიჭიამ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რომელიც ბრალდებულისთვის განაჩენის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანასა და გირაოს შეფარდებას გულისხმობდა.** თავად ბრალდებულმა პროცესზე განაცადა, რომ თავს დამნაშავედ ცნობს. მოპარული სათამაშო თოვლის ბაბუას კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაკდონალდს დაუბრუნებენ. რესტორნების ქსელის ზუგდიდის ფილიალიდან თოვლის ბაბუა რამდენიმე დღის წინ მოიპარეს, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. მის მიმართ საქმე სს კოდექსის 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო.





## ზუგდიდელი მოჭადრაკე პოლონეთის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია

**ზუგდიდელმა მოჭადრაკემ ზვიად ფაციამ პოლონეთის საერთაშორისო ფესტივალის B ტურნირში გაიმარჯვა. სპორტსმენმა ღონისძიებაზე — „კრაკოვი 2018-ზე“ ცხრა შესაძლებლობიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.**

შეჯიბრი მოიცავდა ა, ბ, ც, დ, ე, ტურნირებს და შვეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა. მასში მონაწილეობა 121-მა მოჭადრაკემ მიიღო.

**ამავე ტურნირში 6,5 ქულით მეშვიდე პოზიცია დაიკავა დიმიტრი კვარაცხელიამ, ათი წლის ნიკოლოზ შამათავამ კი 5,5 ქულა დააგროვა და 25-ე ადგილზე გავიდა.**



# ლაზები

**„ლაზების გეოგრაფიულ განსახლებას თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ სულ მთაგორიან ადგილებში სახლობენ, ზღვასთან ახლოს. სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი და საკმარისი მიწა არ გვაქვს. სწორედ ამიტომ, ლაზებისთვის ზღვა არის ქვეყანა. ანუ ყანაც არის და ქვეყანაც. თუ მეგრელ კაცს მიწაზე მოჰყავს თავისი სარჩო, ლაზებს ღმერთმა ზღვა მოგვცა. ლაზი ზღვაში გადის და თევზს იჭერს“, — ასე იწყებს მირიან ნუმანიშვილი საუბარს ლაზებზე.**



მირიანი ლაზია. ცნობილი მენავე საქართველოს შავიზღვისპირეთში და შეიძლება უკანასკნელი მენავეც — ხის ნავის დამზადების იმ ცოდნას, რომელიც მირიანს აქვს, საქართველოში სხვა არავინ ფლობს.

„ნავი ვაშლის ყუთივით არ იჭედება. თავისი საიდუმლოებები აქვს, თუ როგორ უნდა გადააჭედო ფიცრები ერთმანეთს, ძელი როგორ უნდა შეაერთო... ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ვუყურებდი როგორ ჭედავდნენ ნავს. ბაბუაჩემი მეთევზე კაცი იყო, მამაჩემიც. სულ ზღვაში იყვნენ. თევზს იჭერდნენ და მაგით ცოცხლობდნენ. მამაჩემი სულ ნატრობდა – ნეტა ადრე დაბადებულიყავი და ადრე დაგეწყო ნავების კეთება, რომ თევზი ერთად დაგვეჭირაო. 70-80-იან წლებში თბილისში ვსწავლობდი. მაშინ სარფში განთქმული მენავე ალი ხორავა ცხოვრობდა, შაბათ-კვირას როცა ჩამოვდიოდი, ვიდექი და ვუყურებდი. მერე მეც დავიწყე. ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და აი, მოვედი დღემდე...“, – ამბობს მირიანი.

მირიანს უნდოდა თავისი ცოდნა ახალი თაობისთვის გადაეცა, მაგრამ „დიდად არც აინტერესებთ. წარმოიდგინეთ, მე ვჭედავ ნავს, მოსწავლე ტელეფონს უყურებს. ასე არ ისწავლება ეს საქმე“.

მირიანის თქმით, მეთევზეობის ტრადიციაც გაქრა სარფში. ლაზები ზღვაში აღარ გადიან და თევზს აღარ იჭერენ. მისი სახლი ზღვის პირას დგას, ზღვისგან ცენტრალური მაგისტრალი ჰყოფს, თუმცა ხუთ წელზე მეტია ზღვაში ნავით არ გასულა.

„სარფში ლაზი ბავშვები გვეზრდება, ბავშვებმა კი იციან, რომ ლაზები ოდითგანვე ზღვასთან იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ ინტერესი უქრებათ. არანაირი პირობები, რომ გახვიდე და ნავით ითევზაო ან ისეირნო, არაა. არცერთი ნავსაყუდელი არაა მთელს შავი ზღვის სანაპიროზე, სარფიდან ბათუმამდე. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს პატარ-პატარა ნავსაყუდელები – თუ ზღვაში თევზი არ იქნება, ტურისტებისთვის გასასეირნებლად გამოიყენებ, ძალიან კარგი იქნება. ტრადიციებიც არ დაიკარგება და ახალგაზრდა თაობაც დაინტერესდება, რადგან შემოსავალს მოიტანს,“ – ამბობს მირიანი.

80 წლის სეიჰან ოზქანი თურქეთის შავიზღვისპირეთში უხუცესი მენავეა. თურქეთის ქალაქ ხოფაში, ვისაც არ უნდა ჰკითხო, უსტა სეიჰანის შესახებ, ყველა მიგასწავლის პორტში მის ადგილსამყოფელს.

უსტა სეიჰანი ლაზია. 45 წელია ნავებს აკეთებს. თავიდან ავეჯის ხელოსანი იყო. 35 წლის ასაკში ავეჯის კეთებას თავი დაანება და ნავების აშენება დაიწყო. ამბობენ, რომ საუკეთესოა თავის საქმეში. წლების მანძილზე დამოუკიდებლად, მხოლოდ ხელით, ათი ნავი აქვს აშენებული. ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოიტანა — ბოლო ორი ათეული წელია მხოლოდ ხესთან დაკავშირებულ ნაწილს აკეთებს ხელით. დანარჩენი უკვე სპეციალური დანადგარების და მათი გამოყენების ცოდნის საქმეაო ამბობს. უსტა სეიჰანი უკანასკნელი მენავეა ხოფაში.

„ხოფაში ჩემ გარდა სხვა აღარავინ ამზადებს ნავებს. ადრე ბევრნი ვიყავით, მაგრამ აღარ არიან, გარდაიცვალნენ. თანამედროვე ნავები შემოვიდა, ხის ნავებს აღარ იყენებენ, ამიტომ ახალგაზრდობას აღარ აინტერესებს შენება“, — ამბობს სეიჰან ოზქანი.

უსტა სეიჰანის თქმით, უნდოდა თავისი ცოდნა ახალი თაობისთვის გადაეცა, მაგრამ არ გამოუვიდა.

„ხუთი-ექვსი მოსწავლე მყავდა, მაგრამ დიდად არ აინტერესებდათ ეს საქმე. რადგან შემოსავლიანი საქმე არაა, ამიტომაც მოთხოვნა არაა ამ სპეციალობაზე. ადრე ნავების შენებით ოჯახს არჩენდი, ახლა უფრო ჰობი გახდა. ასე თუ გაგრძელდება, გაქრება ეს კულტურა“, — ამბობს სეიჰან ოზქანი.

ქემალ ოზემი: “ბადის ქსოვა მამამ მასწავლა. აქ ყველა მამისგან სწავლობს ხელობას. 20 წელია რაც ამას ვაკეთებ. თუმცა ახლა ახალგაზრდებს დიდად აღარ აინტერესებთ ეს საქმე.“ ფოტო: მანანა ქველიაშვილი/ბათუმელები

მირიანი და სეიჰანი ორივე ლაზია, ორივე მენავე, ორივე საუბრობს ლაზურად. თუ მირიანს ლაზური სიტყვის დაწერა დასჭირდება, ამისთვის ქართულ ანბანს გამოიყენებს, სეიჰანი კი — ლათინურს.

ლაზური ქართველური ენაა, რომელზეც სხვადასხვა მონაცემებით დღეისათვის 1.6 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს. ამათგან, საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 2 ათასი ლაზი ცხოვრობს. მათი ძირითადი განსახლების არეალი აჭარაში, სარფი-კვარიათის ტერიტორიაა. რაც შეეხება თურქეთს, ლაზები ართვინის, რიზესა და ტრაბზონის პროვინციებში ცხოვრობენ. ისტორიული ლაზეთი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ლაზური ენა იუნესკომ საფრთხის წინაშე მყოფი ენების ჯგუფში შეიყვანა.

ორივე ქვეყანაში მცხოვრებ ლაზებს საერთო პრობლემა აქვთ – ლაზური ენა ქრება. ლაზი ახალგაზრდები ვეღარ/აღარ ლაპარაკობენ ლაზურად.

„ჩვენს ახალგაზრდებს ლაზური ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ – არ აქვთ ლაზურთან ხშირი შეხება. ლაზური ისე აღარ არის აქტუალური, როგორც ადრე იყო. ახლა ხუთი პროცენტი თუ საუბრობს ლაზურად. სახლებში არავინ ლაპარაკობს. ამიტომ ლაზური კულტურაც თითქმის იკარგება. ზუსტად ენა არის ის, რაც კულტურას აცოცხლებს. განსაკუთრებული კულტურაც მგონი აღარ დაგვრჩა. ერთადერთი, ქორწილში ლაზურად მღერიან და ეგაა. თუმცა ყველა ამასაც აღარ აკეთებს“, — ამბობს სეიჰან ოზქანი.

„გურამ კარტოზია იყო, პროფესორი კაცი. 50 წლის წინ სარფში ჩამოვიდა. მაშინ თქვა – ლაზების ამბავი წასულიაო. ბავშვი შემხვდა ქუჩაში, ლაზურად „ვაი დედა, ვაი დედას“ ტიროდაო. სარფში „ვაი დედათი“ კი არა, „ვაი ნანათი“ უნდა იტიროსო“. ასეა, ლაზური ენა იკარგება. უფრო და უფრო ნაკლები ახალგაზრდა ლაპარაკობს ლაზურად,“ – ამბობს მირიან ნუმანიშვილი.

თურქეთში, შავი ზღვის პირას გაშენებულ ქალაქ არჰავის უმეტესი მოსახლეობა ლაზია. მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში შემონახულია ლაზური კულტურა. ნებისმიერ დაწესებულებაში შესვლისას, აუცილებლად შეგხვდებათ რაიმე ნივთი, რომელიც ლაზებთან არის დაკავშირებული. ეს შეიძლება იყოს ხეზე შესრულებული ლაზი ქალის პორტრეტი, რომელიც ჩაის კრეფს, ძველი ლაზური სახლის მაკეტი თუ ლაზური საკრავი. არჰავის ცენტრში ავტოსადგურს ლაზური სახლის ფორმა აქვს. ლაზური არქიტექტურის დეტალებს შეხვდებით ადგილობრივ კაფეებსა და სახლის კედლებზეც. ლაზებს თურქეთში ეთნიკური უმცირესობის სტატუსი აქვთ.

ოსმან შაფაქ ბუიქლი ლაზია. არჰავში ცხოვრობს. მასთან ლაზურ ენაზე სასაუბროდ მივედით. სამი წიგნი აქვს დაწერილი ლაზურად. ამბობს, რომ მის შვილებს ესმით ლაზური, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. ისე, როგორც ახალგაზრდა თაობის უმრავლესობა.

„ლაზური სკოლაში ბოლო დროს დაემატა, როგორც არჩევითი საგანი მეოთხე კლასიდან მერვე კლასამდე. არსებობს, მაგრამ შესაბამისი ყურადღება მაინც არ ექცევა. ზოგი ბავშვი ირჩევს ამ საგანს, ზოგი – არა. მშობლებს არ აინტერესებთ, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ ლაზური. მომავალში რაში უნდა გამოიყენონო? – ასე ფიქრობენ. ამის გამო მშობლიურ ენას არ ასწავლიან ბავშვებს, ინგლისური ურჩევნიათ,“ – ამბობს ოსმან შაფაქ ბუიქლი.

ოსმანის თქმით, საქართველოსა და თურქეთში მცხოვრებ ლაზებს შორის ენობრივად მცირედი განსხვავებაა, მაგრამ ერთმანეთის ესმით. როცა ორი ლაზი შეხვდება ერთმანეთს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ ლაზურად ილაპარაკონო – ამბობს.

რაც შეეხება საქართველოს, სარფელი ლაზების თქმით, იმის გამო, რომ სახელმწიფომ ან რომელიმე ჯგუფმა სეპარატიზმი არ დასწამონ, არც აქამდე გამოუთქვამთ ინიციატივა ლაზური ენის სკოლაში სწავლებაზე და არც მომავალში აპირებენ ამას. ლაზები ფიქრობენ, რომ ენის შესანარჩუნებლად საუკეთესო გზა ოჯახში ლაზურად ლაპარაკია.

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებს ლაზურ ენაზე სხვადასხვა ლიტერატურაზე მიუწვდებათ ხელი. მათ შორის შეუძლიათ ლაზურად წაიკითხონ ზღაპრები პინოქიო და ჩექმებიანი კატა.

## ვინ არიან ლაზები?

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეებში ლაზებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, ქართველი მეცნიერები ლაზებს ქართველების ერთ-ერთ შტოდ მიიჩნევენ. ჭანეთ-ლაზეთიც ისტორიულად ქართული სახელმწიფოს ნაწილად არის ცნობილი.

ანტიკური ხანიდან ჭანეთი კოლხეთის სამეფოს ეკუთვნოდა. მომდევნო ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, პირველი საუკუნისათვის, კოლხეთში შედიოდა ტერიტორია ტრაპიზონის აღმოსავლეთით, მათ შორის, რიზეს მხარე, აგრეთვე, ჭოროხის ხეობის დასავლეთი. საუკუნეების მანძილზე ეს მხარე იყო მუდმივი ბრძოლების არეალი. ისტორიული ლაზეთის ტერიტორია ხან იყო საქართველოს შემადგენლობაში და ხან არა. დღეს მოქმედი საზღვრები 1921 წელსაა დადგენილი.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის, ხოლო იმავე წლის 14 ოქტომბერს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის გაფორმებულმა ყარსის ხელშეკრულებამ, საქართველოს სამხრეთი საზღვრების უკანასკნელ პუნქტად სოფელი სარფი აღიარა. 1926 წლამდე საზღვრის ზუსტი დემარკაცია არ მომხდარა. საზღვრის დამდგენმა კომისიამ 1926 წელს საზღვარი სოფელ სარფის შუაში გაავლო. სარფის ერთი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე ნაწილი — საქართველოს შემადგენლობაში.

თუ საქართველოში მყოფ ლაზს ჰკითხავ თავის იდენტობას, ის აუცილებლად გიპასუხებთ, რომ ქართველია. ხოლო თუ იგივე კითხვას თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ლაზს დაუსვამთ, ის გეტყვის, რომ ლაზია, ხოლო მისი მშობლიური ენა ლაზურია.

## ორად გაყოფილი სოფელი

საზღვრის დემარკაციამ სოფელი სარფი და იქ მცხოვრები ლაზები ორად გაყო. ამ გაყოფით გაიყო ოჯახებიც. ნათესავები ერთმანეთს დაშორდნენ იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოს თურქეთთან საზღვარი ჩაკეტილი ჰქონდა. სარფის ქართულ მხარეს დღემდე იხსენებენ, როცა ჩვენთან ვინმე მოკვდებოდა, გასვენების დღეს, გაღმა გორაზე იკრიბებოდნენ თურქეთის მხარეს დარჩენილი სარფელები და ასე მიაგებდნენ პატივს მიცვალებულსო.

ნოდარ კაკაბაძე ლაზია. 14 წლამდე მას რაფეთ კაბა მემედ ოღლი ერქვა. მისი ოჯახი, ისე როგორც სარფის მოსახლეობის უმრავლესობა, თურქულ გვარს ატარებდა.

„როდესაც ოსმალები შემოვიდნენ აჭარაში, გადაწყვიტეს მოსახლეობის აღწერა. ხელი შეეშალათ იმიტომ, რომ ქართული გვარები ჰქონდათ ლაზებს. ამიტომ ყველას შეუცვალეს გვარები. ჩემი წინაპრების მაგალითზე რომ გითხრათ: სამი ძმა იყო — მემედი, ოსმანი და ალი. მათ შთამომავლებს გვქონდა გვარები — კაბა მემედ ოღლი, ანუ მსხვილი მემედის შვილები, კაბა ოსმან ოღლი, ანუ მსხვილი ოსმანის შვილები და ხირა ალი, ანუ სუსტი ალი.

1947 წელს ლავრენტი ბერიამ გამოსცა ბრძანება და აიკრძალა თურქული გვარები და სახელები. სარფის მცხოვრებლებს კიდევ ერთხელ მოუწიათ სახელისა და გვარის შეცვლა. ამჯერად არჩევანი გვქონდა — ვის რა სახელი და გვარიც უნდოდა ის დაირქვა.

ჩვენ, კაბა მემედ ოღლები გავხდით კაკაბაძეები. ხირა ოღლები გახდნენ ხორავები, კაბა ოსმანები, თურქულ მხარეს დარჩნენ და დღემდე კაბა ოსმანები არიან.

ცხადად მახსოვს, მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც ბრძანება მოვიდა, რომ სახელები და გვარები შეგვეცვალა. ჩემმა მათემატიკის მასწავლებელმა, კამელია მგელაძემ დამარქვა სახელი. ჩამოგვიარა ბავშვებს — შენ ეს იქნები, შენ ეს გერქმევაო. ჩემთან რომ მოვიდა, დამარქვა ნოდარი. ასე გავხდი რაფეთ კაბა მემედ ოღლი ნოდარ კაკაბაძე“, — იხსენებს ნოდარ კაკაბაძე.

## ლაზური ტოპონიმიკა

სარფში ზღვაში შეჭრილ ყველა კლდეს თავისი სახელი ჰქონდა. მეთევზე თევზს რომ დაიჭერდა და ზღვიდან სახლისკენ გზას დაადგებოდა, გზად შემხვედრნი ეკითხებოდნენ, სად დაიჭირე თევზიო.

ისიც პასუხობდა, რომელიმე იმ ქვის სახელს, რომლის მახლობლადაც თევზი დაიჭირა. „ქვაოსპაო — დიდი ქვა იყო, ზღვამ დაანგრია. იმ ქვაზე 5 კაცი დგებოდა და ჭინოთი თევზაობდა. კიდევ იყო ქვაჭაღანა, სეიდოღლის ქვა, ქვაჭკვადეი, სუმჯუმა. დღეს მხოლოდ ქვაომხაზეს ნაწილია დარჩენილი“, — ამბობს მირიან ნუმანიშვილი.

სარფის პლაჟზე დღეს მხოლოდ ქვაომხაზეა შემორჩენილი – ზღვაში შეჭრილი საფეხურებიანი ლოდი. ზაფხულობით ამ ქვაზე ტურისტები და ადგილობრივები იყრიან თავს.

„სულ 11 საფეხური ჰქონდა. ჩვენ, ლაზები, როგორც კი ფეხს ავიდგამდით, ცურვასაც ვსწავლობდით. ქვაომხაზეს პირველ საფეხურზე რომ დავდგებოდით, უკნიდან წიხლს მოგვარტყამდნენ, ზღვაში გადაგვაგდებდნენ და მორჩა, უკვე მონათლულები ვიყავით. მეთერთმეტე საფეხური ყველაზე მაღალი და რთულად გადმოსახტომი წერტილი იყო. იქიდან ვინც გადახტებოდა თავით და თან სალტოს გააკეთებდა, ის უკვე პროფესიონალი იყო. ქვაომხაზეს ახლა ის ნაწილი, სადაც მეთერთმეტე საფეხური იყო, აღარ აქვს. ნაპირგამაგრება გააკეთეს და მაგ დროს დაინგრა“, — ამბობს მირიან ნუმანიშვილი.




| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| თუთაშხა | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| თახაშხა | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| ჯუმაშხა | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| ცაშხა | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| ობიშხა | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| საბატონ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| თუთაშხა | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| თახაშხა | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| ჯუმაშხა | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| ცაშხა | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| ობიშხა | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| საბატონ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| თუთაშხა | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| თახაშხა | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| ჯუმაშხა | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| ცაშხა | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| ობიშხა | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| საბატონ | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |



# ომუნეს სათვალთვალო კოშკი საფრთხეშია!

ლევან მეორე დადიანის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენებული ომუნეს სასიგნალო-სათვალთვალო კოშკი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში უკანონოდ იქნა გადაკეთებული. აუცილებელია მისი პირვანდელი სახით აღდგენა და ამის ამღნიშვნელი ტრაფარეტიც გაკეთდა მის მიმდებარე ადგილზე, მაგრამ ვილაც ვათანძარების მიერ ტრაფარეტზე არსებული წარწერა წაშლილ იქნა!

ვაცხადებ: ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად ისედაც შაგრენის ტყავივით დამცრობილ მარგალონას არც ერთი მტკაველი მიწის დაკარგვას ამიერიდან მეგრელობა აღარ დაუშვებს! ფრთხილად!

ზურაბ კვარაცხელია

გარდაიცვალა საქართველოს საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-2004 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ომის შემდგომ წლებში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, საქართველოს დამსახურებული იურისტი, პოლიციის გენერალი, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების პროცესების აქტიური მონაწილე, ვახტანგ გორგასლის II-ე ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი

გივი ლომინაძე.

გაზეთ „ილორის“ შემოქმედებითი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ტიხონ ქორთუა — მამა, ბაბუა, საზოგადო მოღვაწე, რომელიც მოსწავლეებისგან ძერწავდა სანიმუშო ადამიანებს, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი აღესრულა 92 წლის ასაკში! ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მის ოჯახსა და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი ეკა ნასყიდაშვილი.

# ალექსანდრე (კიოპა) მუჯირის ხსოვნას

საქართველოს ეროვნული გვარდიის ოფიცერი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა კავშირის წევრი, მეგობრობის გრძნობით დაჯილდოებული, ქართული ღირებულებების მოყვარე, პატრიოტი ადამიანი იყო ალექსანდრე მუჯირი, რომელიც მძიმე ავადმყოფობის შედეგად 54 წლის ასაკში გარდაიცვალა, რაც დიდი დანაკლისია სამეგობროსთვის.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

თანამებრძოლები

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ თანაუგრძნობს ბატონ ნუგზარ ზარქუას მეუღლის,

მთვარისა ანთია-ზარქუას

გარდაცვალების გამო. უფალმა გაანათლოს ქ-ნი მთვარისას სული.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბ-ონ ელგუჯა თოდუას მამის,

ამადა თოდუას

გარდაცვალების გამო. უფალმა გაანათლოს განსვენებულის სული.


# სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან


# ზუგდიდის საავადმყოფოში გრიპის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების რაოდენობა შემცირდა



**ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში, კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში მოთავსებული მამაკაცის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.**

ამ დროისთვის საავადმყოფოში 42 პაციენტი მკურნალობს. გრიპის ვირუსით მოთავსებულთა რიცხვი თერთმეტი იანვრის შემდეგ 9 ადამიანით შემცირდა.

**„დღის განმავლობაში რამდენიმე გაეწერა. რამდენიმეც შემოვიდა. ჯამში 42 გვიწევს ამ წუთას გრიპის მსგავსი დაავადებით“,** — აღნიშნა სულხან ორჟონიამ.

პაციენტთაგან 13 ბავშვია.

ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გრიპის ვირუსით დაავადებულთა რიცხვი რვა იანვრის შემდეგ 15-დან 51-მდე გაიზარდა, თუმცა ამ დროისთვის მიმართვიანობამ იკლო.

სამეგრელო-ზემო სვანეთში ბოლო ორ თვეში ე.წ. ღორის გრიპით ორი ადამიანი გარდაიცვალა. დე ფაქტო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტა. აქ კარანტინი გამოცხადდა ე.წ. ღორის გრიპის გავრცელების საფრთხის გამო.


ISSN 1987-8966 „ილორი“

7 719878 960097

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).



გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge